

“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 17.06 N 03-05 ბრძანებით

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო კოლეჯი

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა

კვლევის მეთოდოლოგია



თბილისი 2020 წ.

I. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების პროფესიულ განათლებაში მოზიდვის, ჩართვის, ასევე პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზის წარმართვის პროცესებს. აღწერს სტუდენტების დარგობრივი კომპეტენციების ამალღებასა და კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოძიების გზებს.
2. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემით.

II. კვლევის მიზნები და ამოცანები

1. წინამდებარე მეთოდოლოგიის მიზანია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა, ასევე მიზანმიმართული პროფორიენტაცია
2. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის ამოცანებია დარგობრივი კომპეტენციების ამალღება, პროფ. სტუდენტების/კურსდამთავრებულებისა და სააქტივების ხელშეწყობა. კურსდამთავრებულების უკუკავშირის შეგროვება დასაქმების შესახებ.
3. კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაციას მოიძიებს და აგროვებს სასწავლო პროცესის კოორდინატორი და აწვდის შეგროვებულ მონაცემებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს.
4. დარგობრივი კომპეტენციის ამალღების მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს მასტერკლასების ორგანიზებას, რომელიც იმართება არანაკლებ წელიწადში ერთხელ. მასტერკლასები გულისხმობს დარგის წამყვანი სპეციალისტების სტუდენტებთან შეხვედრაზე მოწვევას (ასევე დასწრება თავისუფალია მასწავლებლებისთვის/ინსტრუქტორებისთვის) გამოცდილების გაზიარების მიზნით, სადაც სპეციალისტის მიერ ხდება სტუდენტებისთვის სფეროში სიახლეების/მნიშვნელოვანი საკითხების/მთავარი გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გადაცემა, კომპეტენტური რჩევების მიცემა და სტუდენტების/მასწავლებლების/ინსტრუქტორების მონაწილეობით პროფესიული დისკუსიების წარმართვა.
5. დაგეგმილი/ჩატარებული მასტერკლასის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ვებ გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე.

III. დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობა

1. დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობის ფარგლებში კოლეჯში ეწყობა ინდივიდუალური ან/და ჯგუფური შეხვედრები, სადაც პასუხისმგებელი პირების მიერ გაიცემა კარიერული განვითარებისა და შესაძლებლობების შესახებ რეკომენდაციები

2. კონსულტაციის ფარგლებში სტუდენტები იღებენ რჩევებს სტაჟირებისა და დასაქმების ობიექტების შესახებ, ასევე ეფექტური რეზიუმეს, სამოტივაციო წერილის შედგების თაობაზე.

3. დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში, პარტნიორი კომპანიების (დამსაქმებლის) მოთხოვნით ხდება სტუდენტების შერჩევა.

IV. დასაქმების შესახებ უკუკავშირი და შეგროვებული მონაცემების მართვა

1. დასაქმების შესახებ უკუკავშირი მოიცავს კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, რომელსაც ახორციელებენ სასწავლო პროცესის კოორდინატორები.

2. კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოძიება ხდება გამოკითხვის გზით, პროგრამის დასრულებიდან 1 წლის ვადაში ელექტრონული სისტემების/სატელეფონო კომუნიკაციის გამოყენებით.

3. კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები მიღების/დასრულების წლებისა და პროგრამების მიხედვით მუშავდება და სტატისტიკური ფორმით წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

4. დასაქმებული სტუდენტების და კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია აისახება მართვის საინფორმაციის სისტემის ბაზაში ინფორმაციის მოპოვებისთანავე.